**კასეტა № 37**
**ნატო სილაგაძე, 33 წლის, უმაღლესი განათლებით**
**ქუთაისი, 2005, 04. 09. თბილი მზიანი ამინდი, 4სთ.**

## < ღვთისმსახურება >

## < მისალმება-დამშვიდობების ფორმები >

— ვისაუბროთ მისალმება-დამშჳიდობების ფორმებზე, ესე იგი, მრეჳლს შორის, მრეჳლსა და მოძღჳარს შორის და აი, მოძღჳართან სტუმრობის დროს, ახლა მე არ ვამბოფ სახლში სტუმრობის დროს, აი, როცა სენაქში არის იმ შემთხჳეჳაში, თუ საუბარი გჳინდა, როგორ მიჳდიჳართ?

— თუ, ესე იგი, სადმე შეჳდივარ ოჯახში, მივდივარ სტუმრათ, აქა მშჳიდობა ეს, სანამ ახლა ასე, ღრმათ შევისწაჳლიდი საეკლესიო წესეფს, ჩჳენ ოჯახშიც იყო ასე და საერთოთ საქართჳელოში ასეთი ფორმა ყოჳელთჳის იყო: აქა მშჳიდობას“ კი ვიტყოდით, მარა ახლა უკჳე ჩჳენი მისალმება მშჳიდობა“, ქრისტიანები ერთმანეც ვესალმებით ასე “მშჳიდობას“ უბრალოთ, “მშჳიდობა“ და გადავეხჳევით ერთმანეც. რა თქმა უნდა, ესე იგი, სხეულზე მთხჳევა არ ხთჳბა, ბეჭზე მთხჳევა ესაა ქრისტიანული მისალმება. მშჳიდობა და ქრისტიანული მისალმება, ოჯახში როცა შეხჳალ “აქა მშჳიდობას“ ვიტყჳით და “მშჳიდობა მოქცეთ ღმერთმა.“ეს გამოსჳლის დროსაც კი “ღმერთმმა მშჳიდობა მოქცეთ და ხჳაჳი და ბარაქა“, დამშჳიდობებაც ასია.

— როცა “მშჳიდობა თქჳენდა“ვესალმები ვინმეს პასუხად ჳღებულოფ...

— და“სულისაცა შენისა თანა“ეს მრეჳლისგან და ეს სიტყჳები მოდის წირჳისგან. წირჳაზე ხთება, ამ სიტყჳების თქმა ხთჳბა წირჳაზე და ეს გადმოგჳაქ ცხოჳრებაში ჩჳენ ეს სიტყჳები “და სულისაცა შენისა თანა“

— წირჳის დროს კიდე, როცა ქრისტიანებო ერთმანეც სიყჳარულს უცხადებენ?

— “იყჳარებოდეთ ურთიერთს, რათა ერთობით აღჳიარებით“და ამ დროს ეს სიტყჳები ჩჳენ გჳახსენეფს ურთიერთ სიყჳარულს, რო ჩჳენ უნდა ერთმანეთი გჳიყჳარდეს.

— ამ დროს მრეჳლი რას აკეთეფს?

— ამ დროს ერთმანეთის მთხჳევა ხთება, რა თქმა უნდა სიყჳარულით და “ჩჳენთან არს ღმერთი“ და “არს და იყოს“ასეთ სიტყჳეფს ჳპასუხოფთ ერთმაეც და ეს, ესე იგი, ასეთი ფორმა უფრო მეტათ ჩჳენ გჳაძლეფს, გვაფხიზლეფს იმაში, რო ურთიერთ უნდა გჳიყჳარდეს, არა მარტო ამ გარეგნული ფორმებით რასაც ჩჳენ იმწუთას ეკლესიაში ვაკეთეფთ და ვემთხჳეჳით ერთმანეც, მართლა უნდა გჳიყჳარდეს, შინაგანათ უნდა ქჳქონდეს ერთმანეთის სიყჳარული და შეილება სულაც არ გადაეხჳიო იმ მომენჩი, მარა სიყჳარულით შეხედო შენ გჳერდით მყოფს და სულ, ესე იგი, გულში ქქონდეს შენი მრეჳლის და შენი ყჳელას სიყჳარული. ეს სიტყჳები უბრალოთ ჩჳენ გჳაფხიზლეფს, რო ერთმანეთი უნდა გჳიყჳარდეს და არ უნდა... მტერიც კი უნდა გიყჳარდეს.

— მოძღჳართან სტუმრობის რა განსაკუთრებული ფორმაა?

— მოძღჳართან სტუმრობისას აუცილებელია, რო მანდილი, ნუ, შეილება, ახლა, ერში არ გეხუროს და არ დადიოდე მანდილით, მარა როდესაც, ესეი, მი ამისწინ მომიხთა მოძღჳართან მისულა სახში, ლოცჳით მიჳდიოდი გზაში, ჳლოცულობდი, რო გონება გაეხსნა რო ჭეშმარიტათ მესაუბრა იმაზე, რაც მინდოდა. არი ზოგჯერ რაღაცა გინდა თქჳა და ვერ გამოხატაჳ და ამიტომ ქჭირდება ლოცჳა, რო ილოცო და აუცილებლათ მანდილი უნდა, ქალს მანდილი უნდა ეფაროს თაჳზე და „ლოცჳითა წმიდათა მამათა ჩჳენთათა უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩჳენო შეგჳიწყალენ ჩჳენ“ და ამ სიტყჳებით მიგჳიღეფს მოძღჳარი და...

— უნდა გიპასუხოს „ამინ“

— „ამინ“ უნდა გიპასუხოს და ეს არი დასტური იმისი, რო მიგიღოს მოძღჳარმა და უკჳე ხარ მზათ რო ესაუბრო მას. ეს უბრალოთ არი ფორმალობა ქრისტიანობაში, ეს აუცილებელია, აუცილებელია იმიტო, რო მოძღჳართან არ უნდა ქქონდეს ზედმეტათ მეგობრული... მოძღჳარი მეგობარიც უნდა იყოს, მამა არი შენი, მეგობარიც არი ჩჳენი, ძმაცაა და ყჳელაფერია ჩჳენი, მაგრამ ზომიერება სჭირდება. ცეს არი ზომიერებისათჳის აუცილებელი, რო ეს თქჳა ეს სიტყჳები, თაჳზე დაიხურო, ძა̄ნ შეილება ახლოს იყო და კარგი ურთიერთობა ქონდეს, მარა თუ ესენი დაჳკარგეთ: თაჳსაგარი არ დაიხურე, ლოცჳა-კურთხევა არ თხოვე მოძღჳარს, უკჳე აქ იკარგება რაღაცა სულიერება და ურთიერთკაჳშირში მოძღჳარსა და სულიერ შჳილს შორის.

— უბრალვდება

— უბრაოვდება და არ, არ უნდა დაკარგო, არ უნდა ქონდეს იმის ის, რო ის უკჳე შენ რამდენი ხანია იცნოფ და კარგი ურთიოერთობა გაქ. ის არ არი ასე. მოძღჳართან უნდა ქქონდეს, რაც შეილება... ზომიერება უნდა იყოს დაცული.

— წეღან თქჳენ [პირად საუბარში] ბრძანეთ, რო მსგაჳსი ფორმები მე მინახაჳს მონასტერშიო.

— კი მონასტერში არი ცალკე ერთი პატარა კელია, სადაც მოძღჳარი ღებულოფს ახსარებას და კართან ჩჳენ ჳდგავართ და ვამბოფთ ამ ლოცჳას და თუ მოძღჳარი დაგიძახეფს...

— „ლოცჳითა წმიდათა მამათა ჩჳენთათა...“

— „ლოცჳითა წმიდათა მამათა ჩჳენთათა“ და თუ იქიდან მოძღჳარი დაგიძახეფს „ამინ“ ესე იგი, შენ უნდა შეხჳიდე ახსარებაზე და შენ უკჳე ხარ ღირსი ამ იმისი.